საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/217

ქ. ბათუმი 06 დეკემბერი, 2021 წელი

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კორდობას უნივერსიტეტში ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2021 წლის 03 დეკემბრის MES 3 21 0001303701 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კორდობას უნივერსიტეტში მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2021 წლის 06 დეკემბრიდან 12 დეკემბრის 18:00 საათამდე (სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ პლათფორმაზე http://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე: erasmus@bsu.edu.ge. საკონკურსო დოკუმენტაცია შეიძლება წარმოადგინოს იმ პირებმა, რომლებმაც მიიღეს შეფასება (ჩააბარეს გამოცდა) ინგლისურ ენაში (B2 დონე) 2021 წლის 16 სექტემბერს, 19 და 31 ოქტომბერს ან გადალახავენ 7 დეკემბერს დაგეგმილ ინგლისურ ენაში (B2 დონე) გამოცდას ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ან ფლობენ უცხო ენის საერთაშორისო სერტიფიკატს.

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2021 წლის 13 დეკემბერი -10:00 სათზე, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2021 წლის 14 დეკემბერი, (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან ზუმის პლათფორმის მეშვეობით https: //us02web.zoom.us/j/5529839711?pwd=VHZHMDh5a3dLQnVMTWdKajhsYk4xQT09). გასაუბრების ჩატარების ზუსტი

დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

გ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2021 წლის 15 დეკემბერი.

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) ანზორ ბერიძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

ე) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ვ) მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ზ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

თ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ი) მარინა ქორიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

კ) გოჩა ჩავლეშვილი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

მ) ჟუჟუნა გუმბარიძე- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი).

3. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ანზორ ბერიძემ.

5. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**